საქართველოს მთავრობის

დადგენილება №433

2022 წლის 22 აგვისტო

ქ. თბილისი

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112-ის“ მომსახურების სახეების, საფასურებისა და ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 30 დეკემბრის №660 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112-ის“ მომსახურების სახეების, საფასურებისა და ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 30 დეკემბრის №660 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 30/12/2019, 040030000.10.003.021682) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112-ის“ მომსახურების სახეების, საფასურებისა და ვადების“ მე-5 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112-ის“ დაცულ სადგომზე სატრანსპორტო საშუალების დგომის (გარდა სატრანსპორტო საშუალების ნივთმტკიცების სახით დგომის შემთხვევებისა) საფასური განისაზღვრება შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

სატრანსპორტო საშუალების ტიპი	**დაცულ სადგომზე შეყვანისა და 1 – 5 დღე-ღამის ჩათვლით დგომის პერიოდი**	**დაცულ სადგომზე 5 დღე-ღამის შემდეგ დგომის პერიოდი**
	1 დღე-ღამე (24 საათი)	1 დღე-ღამე (24 საათი)
ტრიციკლი	4 ლარი	2 ლარი
მოპედი	4 ლარი	2 ლარი
კვადროციკლი	4 ლარი	2 ლარი
მოტოციკლი	4 ლარი	2 ლარი
მსუბუქი ავტომანქანა	8 ლარი	4 ლარი
ავტობუსი (M2 კატეგორია)	10 ლარი	5 ლარი
სატვირთო ავტომანქანა	14 ლარი	7 ლარი
ავტობუსი (M3 კატეგორია)	14 ლარი	7 ლარი
ტრაქტორი	14 ლარი	7 ლარი

4. საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112-ის“ დაცულ სადგომზე სატრანსპორტო საშუალების ნივთმტკიცების სახით დგომის საფასური განისაზღვრება შემდეგი ცხრილის შესაბამისად:

სატრანსპორტო საშუალების ტიპი	**დაცულ სადგომზე შეყვანისა და 1 – 5 დღე-ღამის ჩათვლით დგომის პერიოდი**	**დაცულ სადგომზე 5 დღე-ღამის შემდეგ დგომის პერიოდი**
	1 დღე-ღამე (24 საათი)	1 დღე-ღამე (24 საათი)
ტრიციკლი	4 ლარი	1 ლარი
მოპედი	4 ლარი	1 ლარი
კვადროციკლი	4 ლარი	1 ლარი
მოტოციკლი	4 ლარი	1 ლარი
მსუბუქი ავტომანქანა	8 ლარი	1 ლარი
ავტობუსი (M2 კატეგორია)	10 ლარი	1 ლარი
სატვირთო ავტომანქანა	14 ლარი	1 ლარი
ავტობუსი (M3 კატეგორია)	14 ლარი	1 ლარი
ტრაქტორი	14 ლარი	1 ლარი

.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**